# საქართველოს მთავრობის
# დადგენილება

N 149 2022 წლის 25 მარტი ქ. თბილისი

## „2020 – 2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის №585 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2020 – 2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 ნოემბრის №585 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/12/2019, 010220020.10.003.021605) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2020 – 2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“.

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლების საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „2020 – 2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა“.“.

3. 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბდეს თანდართული შინაარსით.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

# 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის  2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი # 1: | მომხარემებელთა საჭიროებებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის ოფიციალური სტატისტიკის წარმოება | | | მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | ქვემიზნები 17.18 და 7.19 (მდგრადი განვითარების მიზანი #17, განხორციელების მექანიზმების გაძლიერება და პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად) პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიულ მიზანს #1 |
|---|---|---|---|---|---|
| გავლენის ინდიკატორი 1.1 | მომხმარებელთა კმაყოფილების დონე (საქსტატის მომსახურებით მოსარგებლეთა შორის ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით) | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2019 | 2023 | მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები |
| | | მაჩვენებელი | 72% | სულ მცირე 85% | |
| გავლენის ინდიკატორი 1.2 | მდგრადი განვითარების მიზნებისათვის წარმოებული მაჩვენებლების პროცენტი | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2019 | 2023 | 1. მთავრობის ადმინისტრაციის მდგრადი განვითარების მიზნების შეფასების ანგარიშები<br>2. მონაცემთა ხელმისაწვდომობის კვლევები |
| | | მაჩვენებელი | 80% | 95% | |

| ამოცანა 1.1 | | მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის მხარდაჭერის მიზნით სტატისტიკური მონაცემების წარმოება | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | | საბაზისო 2019 | სამიზნე 2023: | დადასტურების წყარო |
| 1.1.1 | საჯარო სექტორის მომხმარებელთა კმაყოფილების დონე | 81% | სულ მცირე 90% | მომხმარებელთა კმაყოფილების მიზნობრივი გამოკითხვა, რომელიც მოიცავს შემდეგს: გადაწყვეტილების მისაღებად სტატისტიკის გამოყენების სიხშირე, სანდოობა, დამაჯერებლობა, სტატისტიკური მონაცემების შესაბამისობა და დროულობა |
| 1.1.2 | საჯარო სექტორის მომხმარებელთა მხრიდან მონაცემების მოთხოვნაზე პასუხის გაცემის საშუალო დრო | 7 სამუშაო დღე | 5 სამუშაო დღე | სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქსტატი |
| რისკები: | | საქართველოში სტატისტიკის სხვა მწარმოებლების არასაკმარისი ჩართულობა;<br>არასაკმარისი ფინანსური, ადამიანური და ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსები | | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | ოდენობა (ლარი) | კოდი | ოდენობა (ლარი) | ორგანიზაცია | |
| 1.1.1 | მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება | 1.1.1.1. მომსახურების ექსპორტ-იმპორტის მონაცემები გაანგარიშებულია | მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba | საქსტატი | საქართველოს ეროვნული ბანკი | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.2 | პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის (ინტეგრირებული ფორმატი) გაანგარიშება ეკონომიკის სექტორების მიხედვით | 1.1.2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის (ინტეგრირებული ფორმატი) ამსახველი მონაცემები გაანგარიშებულია | პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის (ინტეგრირებული ფორმატი) ამსახველი მონაცემები ეკონომიკის სექტორების მიხედვით გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi | საქსტატი | - | 2023 წ. I კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.3 | გარე მიგრაციასთან დაკავშირებით დამატებითი ინდიკატორების პილოტური ვერსიის წარმოება | 1.1.3.1. მომზადებულია შემდეგი  ორი დამატებითი ინდიკატორის საპილოტე ვერსია: მოქალაქეობის მინიჭების და მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | იუსტიციის სამინისტრო/ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.4 | საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამის შემუშავება და წარდგენა სამთავრობო კომისიისთვის | 1.1.4.1. საყოველთაო აღწერის პროგრამა შემუშავებულია და წარდგენილია სამთავრობო კომისიისთვის | საქსტატის ვებ-საიტი: https://www.geostat.ge/ | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.5 | მოსახლეობის პროგნოზირების საცდელი მოდელის შედგენა რამდენიმე სცენარის მიხედვით | 1.1.5.1. მოსახლეობის პროგნოზირების საცდელი მოდელი შედგენილია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.6 | სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის (HICP) გაანგარიშება | 1.1.6.1. სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსი გაანგარიშებულია | სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის დროითი მწკრივები საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia | საქსტატი | - | 2022 წ. I კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.7 | მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 2.4.1 (იმ სასოფლო-სამეურნეო მიწის პროპორციული ოდენობა, რომელზეც წარმოებს პროდუქტიული და მდგრადი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა) მაჩვენებლის წარმოება | 1.1.7.1. მაჩვენებელი გაანგარიშებულია | მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მაჩვენებელი (2.4.1) საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 443 200 | - | - | 443 200 | FAO- 50X2030 initiative-ის ფარგლებში გაწეული ფინანსური დახმარება | - |
| 1.1.8 | სოფლის მეურნეობის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.8.1. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სულ მცირე 3 დამატებითი მაჩვენებელი გაანგარიშებულია | დამატებითი მაჩვენებლები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba) | საქსტატი | - | 2022 წ. III კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.9 | დამატებითი აგრო-გარემოსდაცვითი მაჩვენებლების წარმოება (Agri-Environmental Indicators) | 1.1.9.1 აგრო-გარემოსდაცვითი სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი (Agri-Environmental Indicators) შემუშავებულია | აგრო-გარემოსდაცვითი მაჩვენებლები (Agri-Environmental Indicators) ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika | საქსტატი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.10 | UNECE-ის დამატებითი გარემოსდაცვითი ინდიკატორების წარმოება (B1-Air Temperature, B2-Atmospheric Precipitation, D1-Protected Areas ) | 1.1.10.1. UNECE-ის გარემოსდაცვითი სულ მცირე სამი დამატებითი მაჩვენებელი გაანგარიშებულია | დამატებითი მაჩვენებელი განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika | საქსტატი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, დაცული ტერიტორიების სააგენტო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.11 | ტყის შესახებ დამატებითი სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოება | 1.1.11.1. ტყის შესახებ დამატებითი მინიმუმ სამი მაჩვენებელი შემუშავებულია | ტყის შესახებ დამატებითი მაჩვენებლები განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/73/garemos-statistika | საქსტატი | გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.12 | შშმ პირების შესახებ დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.12.1. შშმ პირების შესახებ სულ მცირე 5 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge | საქსტატი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; | 2022 წ. III კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.13 | ჯანდაცვის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.13.1. ჯანდაცვის სტატისტიკის სულ მცირე 3 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/53/jandatsva-da-sotsialuri-uzrunvelqofa | საქსტატი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 2023 წ. III კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.14 | კულტურის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.14.1. კულტურის სტატისტიკის სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი გაანგარიშებული და გავრცელებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/56/ganatleba-kultura | საქსტატი | საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო | 2022 წ. II კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.15 | გენდერული სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება გაეროს სტატისტიკის დეპარტამენტის (UNSD-ის) მინიმალური ნუსხის შესაბამისად | 1.1.15.1. გენდერული სტატისტიკის სულ მცირე 3 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.16 | უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის შესახებ დამატებითი მაჩვენებელების წარმოება | 1.1.16.1. უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის შესახებ სულ მცირე 3 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka | საქსტატი | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 2022 წ. III კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.17 | ცხოვრების დონის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.17.1. სქესის მიხედვით დისაგრეგირებული ცხოვრების დონის სტატისტიკის სულ მცირე 3 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/48/tskhovrebis-done-saarsebo-minimumi | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.18 | შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.18.1. შინამეურნეობებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სტატისტიკის სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi | საქსტატი | - | 2022 წ. III კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.19 | ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული გამოკვლევის ჩატარება და ახალი სტატისტიკური მაჩვენებლების შემუშავება | 1.1.19.1. გამოკვლევა ჩატარებულია;<br>1.1.19.2. სულ მცირე 15 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია. | მონაცემები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 320 000 | - | - | 320 000 | გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) | - |
| 1.1.20 | შრომის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.20.1. სქესის მიხედვით დისაგრეგირებული შრომის სტატისტიკის სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/37/dasakmeba-khelfasebi | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.21 | მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის მეთოდოლოგიური აღწერილობის მომზადება | 1.1.21.1. შემუშავებულია მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის მეთოდოლოგიური დოკუმენტი | მეთოდოლოგიური დოკუმენტი საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.22 | მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის პროცესების აღწერილობის შემუშავება | 1.1.22.1. შემუშავებულია მთლიანი შიდა პროდუქტის შედგენის პროცესების აღწერილობის დოკუმენტი | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.23 | მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 8.9.1 (ტურიზმიდან გამომუშავებული მშპ-ს წილი მთლიან მშპ-ში) მაჩვენებლის წარმოებისთვის მეთოდოლოგიის მომზადება | 1.1.23.1. ტურიზმის სატელიტური ანგარიშების 5-6 ცხრილების წარმოებისთვის მეთოდოლოგია მომზადებულია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 60 000 | - | - | 60 000 | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) | - |
| 1.1.24 | სპორტის სატელიტური ანგარიშების შედგენის სამოქმედო გეგმის შემუშავება | 1.1.24.1. მომზადებულია სპორტის სატელიტური ანგარიშების შედგენის სამოქმედო გეგმა | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 60 000 | - | - | - | - | 60 000 |
| 1.1.25 | ბიზნეს სტატისტიკის არეალის გაფართოების მიზნით დამატებითი სტატისტიკური გამოკვლევის ჩატარება | 1.1.25.1. ჩატარებულია სულ მცირე ერთი გამოკვლევა (ტაქსების გამოკვლევა), რომლის შედეგად დამატებითი მაჩვენებლები გაანგარიშებულია | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/387/momsakhurebis-statistika298 | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 150 000 | 150 000 | 4702 | - | - | - |
| 1.1.26 | ენერგოეფექტურობის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.26.1. გაანგარიშებულია სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი | მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge | საქსტატი | - | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.27 | ტრანსპორტის სტატისტიკის დამატებითი მაჩვენებლების წარმოება | 1.1.27.1. გაანგარიშებულია სულ მცირე 2 დამატებითი მაჩვენებელი | დამატებითი მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/387 | საქსტატი | საქართველოს ინფრასტრუქტურის და რეგიონალური განვითარების | 2023 წ. IV კვ. | 45000 | 45000 | 4702 | - | - | - |
| 1.1.28 | ბიზნეს დემოგრაფიის დამატებითი მაჩვენებლების შემუშავება | 1.1.28.1 ბიზნეს დემოგრაფიის სულ მცირე 2 ახალი მაჩვენებელი შემუშავებულია | მაჩვენებლები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/69/biznes-demografia | საქსტატი | - | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.29 | FISIM-ის (ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება) გაანგარიშება | 1.1.29.1. FISIM გაანგარიშებულია | საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები ხელმისაწვდომია ეროვნული ბანკის ვებ-საიტზე: https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data | საქართველოს ეროვნული ბანკი | საქსტატი | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.30 | ფინანსური სექტორის ფინანსური ანგარიშების წარმოება | 1.1.30.1. შექმნილია ფინანსური სექტორის ფინანსური ანგარიში ნაკადებზე შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის: ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, ფასიანი ქაღალდები | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქართველოს ეროვნული ბანკი | - | 2022 წ. II კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.31 | მუნიციპალურ დონეზე ძირითად სტატისტიკურ მაჩვენებელთა წარმოებისთვის გზამკლევის და სამოქმედო გეგმის შემუშავება | 1.1.31.1. შემუშავებულია მუნიციპალური სტატისტიკის განვითარების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა | საქსტატის ვებ-საიტი: https://www.geostat.ge/ | საქსტატი | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 2023 წ. IV კვ. | 221600 | - | - | 144,000 | გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) | 77,600 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.1.32 | რეგიონული სტატისტიკის მაჩვენებლების ეტაპობრივი ჰარმონიზება ევროსტატის რეგიონული სტატისტიკის კლასიფიკაციის (NUTS) მონაცემთა ბაზასთან | 1.1.32.1. რეგიონული მაჩვენებლები ჰარმონიზებულია ევროსტატის რეგიონულ მონაცემთა ბაზის 16 კომპონენტთან | ჰარმონიზაციის 2022-2027 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | საქსტატი | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.33 | რეგიონული სტატისტიკის "ჭკვიანი სპეციალიზაციის" ათი მაჩვენებლის წარმოება | 1.1.33.1. რეგიონული სტატისტიკის "ჭკვიანი სპეციალიზაციის" ათი მაჩვენებელი წარმოებულია | დამატებითი მაჩვენებლები ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ | საქსტატი | რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.1.34 | სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის გაანგარიშება | 1.1.34.1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი გაანგარიშებულია | სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/27/mtsarmoebelta-da-importis-fasebis-indeksi | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| **ამოცანა 1.2** | | **საერთაშორისო სტანდარტებთან და სახელმძღვანელოებთან სრულ შესაბამისობაში მყოფი ოფიციალური სტატისტიკის წარმოება** | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის მაჩვენებელი** | | **საბაზისო 2019:** | **სამიზნე 2023:** | | **დადასტურების წყარო** | | | | | | | |
| 1.2.1 | ძირითადი მაჩვენებლები იწარმოება უახლესი საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მიხედვით | 77% | სულ მცირე 90% | | საქსტატის ვებ-საიტზე ხელმისაწვდომი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ;<br>საქსტატის მეთოდოლოგიისა და ხარისხის მართვის სამმართველო | | | | | | | |
| **რისკები:** | | არასაკმარისი მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან; | | | | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა (წელი, კვ.)** | **ბიუჯეტი (ლარი)** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
| | | | | | | | | **სახელმწიფო ბიუჯეტი** | | **სხვა** | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | **ოდენობა (ლარი)** | **კოდი** | **ოდენობა (ლარი)** | **ორგანიზაცია** | |
| 1.2.1 | საქონლით საგარეო ვაჭრობის 2000-2008 წლების მონაცემების დამუშავება და გავრცელება საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მაქსიმალურად დეტალიზებულ დონეზე (5-ნიშნა დონე) | 1.2.1.1. 2000-2008 წლებში საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ამსახველი მონაცემები საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (SITC) მიხედვით დამუშავებულია | მონაცემები გამოქვეყნებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba | საქსტატი | - | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.2.2 | სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების გამოკვლევაში დანიშნულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორის COICOP 2018-ის დანერგვისთვის მომზადების მიზნით სამომხმარებლო ფასების ინდექსის პილოტური ვერსიის გაანგარიშება | 1.2.2.1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის პილოტური ვერსია გაანგარიშებულია COICOP 2018-ის შესაბამისად | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| **ამოცანა 1.3** | | **მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება** | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | | **საბაზისო 2019:** | **სამიზნე 2023:** | | **დადასტურების წყარო** | | | | | | | |
| 1.3.1 | ხარისხის თვითშეფასების დანერგვა | მონაცემები არ არის | ხარისხის თვითშეფასება დანერგილია და განხორციელებულია ყველა დარგობრივ | | მონაცემთა ხარისხის თვითშეფასების ანგარიშები | | | | | | | |
| 1.3.2 | მომხმარებელთა კმაყოფილების დონე არსებული მეტამონაცემების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით (გაზომილი მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკითხვების მიხედვით) | 66% | საბაზისო მონაცემი 20%-ით გაუმჯობესდა | | მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევის ანგარიშები | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა (წელი, კვ.)** | **ბიუჯეტი (ლარი)** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
| | | | | | | | | **სახელმწიფო ბიუჯეტი** | | **სხვა** | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | **ოდენობა (ლარი)** | **კოდი** | **ოდენობა (ლარი)** | **ორგანიზაცია** | |
| 1.3.1 | გამოკვლევის ხარისხის აუდიტის და პილოტური თვითშეფასების ჩატარება | 1.3.1.1. სულ მცირე 2 გამოკვლევის ხარისხის აუდიტი ჩატარებულია;<br>1.3.1.2. სულ მცირე 2 გამოკვლევის პილოტური თვითშეფასება ჩატარებულია. | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 1.3.2 | სხვა დეპოზიტური კორპორაციებიდან ნაკადების მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღების მექანიზმის დანერგვა | 1.3.2.1. სხვა დეპოზიტური კორპორაციებიდან ნაკადების მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიღების მექანიზმი დანერგილია | ნაკადებზე ფინანსური ანგარიში ეროვნული ბანკის ვებ-საიტზე: https://nbg.gov.ge/statistics/interactive | საქართველოს ეროვნული ბანკი | - | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| **ამოცანა 1.4** | | **სტატისტიკის გამოყენების ხელშეწყობა** | | | | | | | | | | |
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | | **საბაზისო 2019:** | **სამიზნე 2023:** | | **დადასტურების წყარო** | | | | | | | |
| 1.4.1 | დანერგილია მომხმარებელთა კმაყოფილების რეგულარული გამოკითხვების სისტემა - მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით | ამჟამად მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკითხვა არ ტარდება სისტემატურად | მომხმარებელთა რეგულარული, ყოვლისმომცველი გამოკითხვა ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, ინტერნეტის მეშვეობით | | საქსტატის მომხმარებელთა კმაყოფილების რეგულარული გამოკითხვები | | | | | | | |
| 1.4.2 | სტატისტიკური წიგნიერების გაუმჯობესების წლიური პროგრამების შედეგად სტატისტიკური წიგნიერების გაუმჯობესებული უნარის მქონე ადამიანების რაოდენობა | 70 ადამიანი, რომელმაც ტესტირების შედეგად სულ მცირე 70% დააგროვა | სულ მცირე 100 ადამიანი, რომელმაც ტესტირების შედეგად 70% ან მეტი დააგროვა | | სტატისტიკური წიგნიერების გაუმჯობესების პროგრამის მონაწილეთა მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმები | | | | | | | |
| **რისკები:** | | საქართველოში სტატისტიკის სხვა მიმწოდებელთა არასაკმარისი ჩართულობა;<br>არასათანადო ფინანსური, ადამიანური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები;<br>საერთაშორისო პარტნიორების არ არსებობა | | | | | | | | | | |
| **N** | **აქტივობა** | **აქტივობის შედეგის ინდიკატორი** | **დადასტურების წყარო** | **პასუხისმგებელი უწყება** | **პარტნიორი უწყება** | **შესრულების ვადა (წელი, კვ.)** | **ბიუჯეტი (ლარი)** | **დაფინანსების წყარო** | | | | |
| | | | | | | | | **სახელმწიფო ბიუჯეტი** | | **სხვა** | | **დეფიციტი** |
| | | | | | | | | **ოდენობა (ლარი)** | **კოდი** | **ოდენობა (ლარი)** | **ორგანიზაცია** | |
| 1.4.1 | სტატისტიკური პუბლიკაციისთვის „ქალი და კაცი საქართველოში" ანალიტიკური ნაწილის შემუშავება | 1.4.1.1. სტატისტიკური პუბლიკაციისთვის „ქალი და კაცი საქართველოში" ანალიტიკური ნაწილი შემუშავებულია | სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში" განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/single-categories/115/genderuli-statistika | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 22,500 | - | - | 22,500 | გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) | - |
| 1.4.2 | სტატისტიკური წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთათვის სემინარების ჩატარება | 1.4.2.1. გამოვლენილია სამიზნე ჯგუფები და ჩატარებულია წელიწადში სულ მცირე სამი სემინარი (ჯგუფში 20 მონაწილე) | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 64,560 | - | - | 32,280 | გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) | 32,280 |

# 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის  2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი # 2: | სტატისტიკის წარმოების ეფექტური, თანამედროვე და მდგრადი პროცესების შექმნა | მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | ქვემიზნები 17.18 და 7.19 (მდგრადი განვითარების მიზანი #17, განხორციელების მექანიზმების გაძლიერება და პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად) პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიულ მიზანს #2 |
|---|---|---|---|

| | | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|
| გავლენის ინდიკატორი 2.1 | სტატისტიკის წარმოების ეფექტიანობის და მდგრადობის შეფასება გლობალური შეფასების შემდეგი რაუნდის მიერ | წელი | 2019 | 2023 | გლობალური შეფასების ანგარიში |
| | | მაჩვენებელი | - | სტატისტიკის წარმოების ეფექტიანობისა და მდგრადობის განვითარების დონე შეფასდა დადებითად გლობალური შეფასების შემდეგი რაუნდის მიერ | |
| გავლენის ინდიკატორი 2.2 | სტატისტიკური მონაცემების გავრცელებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონე | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2019 | 2023 | მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკითხვები |
| | | მაჩვენებელი | 93% | სულ მცირე 95% | |

| ამოცანა 2.1 | | სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცესების მოდერნიზაცია და სტანდარტიზაცია | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | | საბაზისო 2019: | სამიზნე 2023: | დადასტურების წყარო |
| 2.1.1 | სტატისტიკური ბიზნეს პროცესის სტანდარტულ მოდელზე (GSBPM) გადასვლისათვის საფუძვლის მომზადების დონე | 15% | 100% | საგზაო რუკა  შემუშავებულია |
| 2.1.2 | სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო დროის შემცირება | 2019 წლის სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა | სულ მცირე ორი წლიური პერიოდულობის გამოკვლევის შედეგების გამოქვეყნების ვადა შემცირდება მინიმუმ ხუთი დღით; სულ მცირე ორი | 2023 წლის სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა |
| რისკები: | | საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა GSBPM-ზე გადასვლის შესაძლებლობების შეფასებაში | | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | ოდენობა (ლარი) | კოდი | ოდენობა (ლარი) | ორგანიზაცია | |
| 2.1.1 | საბანკო სექტორის მონაცემების უფრო სიღრმისეული დამუშავებისთვის არსებული  მონაცემთა დამუშავების და ანალიზის პლატფორმის განახლება და Data Management-ის ფუნქციონალის ინტეგრირება | 2.1.1.1. მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის თანამედროვე პლატფომა განახლებულია და Data Management-ის ფუნქციონალი ინტეგრირებულია;<br>2.1.1.2.  საფინანსო სექტორიდან მიღებული მონაცემები დამუშავდა Data Management-ში. მომზადდა შესაბამისი ETL (Extract, Tansform, Load). | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქართველოს ეროვნული ბანკი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.1.2 | იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ერთიანი ბაზის შექმნა | 2.1.2.1. იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების ერთიანი ბაზა შექმნილია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქართველოს ეროვნული ბანკი | საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.1.3 | სტატისტიკური ბიზნეს პროცესის სტანდარტული მოდელის (GSBPM) შესაბამის პროცესებზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ სტრუქტურაზე გადასვლის საგზაო რუკის შემუშავება | 2.1.3.1. საგზაო რუკა შემუშავებულია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | 60,000 | - | - | - | - | 60,000 |
| 2.1.4 | სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვადების შემცირების მიზნით რამდენიმე გამოკვლევის პროცესების ოპტიმიზაცია | 2.1.4.1. სულ მცირე 2 სტატისტიკური გამოკვლევისთვის გამოქვეყნების ვადები შემცირებულია საშუალოდ სამი დღით | სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამა და კალენდარი საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |

| ამოცანა 2.2 | | მონაცემების შეგროვების თანამედროვე და ყოვლისმომცველი სისტემის დანერგვა | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | | საბაზისო 2019: | სამიზნე 2023: | დადასტურების წყარო |
| 2.2.1 | მონაცემების შეგროვების თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული გამოკვლევების წილი | 70% | 90%-ზე მეტი | საქსტატის შიდა ანგარიშები |
| 2.2.2 | ოფიციალური სტატისტიკის წარმოების პროცესში გამოყენებული ადმინისტრაციული წყაროების წილი | 28% | 40% | საქსტატის შიდა ანგარიშები |
| რისკები: | | ადმინისტრაციული მონაცემების მომწოდებელთა არასაკმარისი ჩართულობა;<br>დიდი მონაცემების მფლობელებთან (მაგალითად, გაყიდვების ქსელები) არასაკმარისი თანამშრომლობა;<br>მონაცემების შეგროვების თანამედროვე მეთოდების დანერგვისას გაჩენილი ტექნიკური სირთულეები | | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | ოდენობა (ლარი) | კოდი | ოდენობა (ლარი) | ორგანიზაცია | |
| 2.2.1 | დიდი მონაცემების (big data) და სხვა არატრადიციული ადმინისტრაციული წყაროების გამოყენების შესაძლებლობების შეფასება შიდა მიგრაციის და ადგილობრივი ტურიზმის სტატისტიკის საწარმოებლად | 2.2.1.1. შეფასების დოკუმენტი შემუშავებულია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.2.2 | ვაკანსიების სტატისტიკის საწარმოებლად ინტერნეტიდან მოპოვებული მონაცემების (ინტერნეტიდან მონაცემების ავტომატური მოპოვება - Web scraping) გამოყენების შესაძლებლობების შეფასება | 2.2.2.1. მომზადებულია შეფასება  ინტერნეტიდან მოპოვებული მონაცემების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.2.3 | საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული სტატისტიკისთვის დიდი მონაცემების (big data) გამოყენების საგზაო რუკის მომზადება | 2.2.3.1 დიდი მონაცემების (big data) საგზაო რუკა მომზადებულია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის  მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქართველოს ეროვნული ბანკი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2.4 | სამომხმარებლო ფასების სტატისტიკაში დიდი მონაცემების (big data) ინტეგრაცია:<br>ა) Web scraping-ის გამოყენების არეალის გაფართოება;<br>ბ) სკანერული მონაცემების ინტეგრირება სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებაში | 2.2.4.1. Web scraping-ი გამოიყენება სამომხმარებლო კალათაში შემავალი ელექტროტექნიკისთვის;<br>2.2.4.2. სკანერული მონაცემები ინტეგრირებულია სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებაში. | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.2.5 | გამოკვლევების მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტარის ჰარმონიზაციის მექანიზმების შემუშავება | 2.2.5.1. გამოკვლევების მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტარის ჰარმონიზაციის მექანიზმები შემუშავებულია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.2.6 | სტატისტიკის მწარმოებლებთან და სტატისტიკური მონაცემების მომწოდებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და ტრენინგების ჩატარება | 2.2.6.1. სტატისტიკის მწარმოებლებთან და სტატისტიკური მონაცემების მომწოდებლებთან თანამშრომლობის შესახებ გაფორმებულია სულ მცირე 4 ახალი მემორანდუმი; | გაფორმებული მემორანდუმები | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| | | 2.2.6.2. სტატისტიკის მწარმოებლებთან და სტატისტიკური მონაცემების მომწოდებლებთან ოფიციალური სტატისტიკის საკითხებზე სულ მცირე 2 ტრენინგი ჩატარებულია. | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | | | | | | | | | |

| **ამოცანა 2.3** | | **მონაცემთა გავრცელების და კომუნიკაციის პროცესების პრაქტიკის გაუმჯობესება** | | |
|---|---|---|---|---|
| **ამოცანის შედეგის ინდიკატორი** | | **საბაზისო 2019:** | **სამიზნე 2023:** | **დადასტურების წყარო** |
| 2.3.1 | ოფიციალური ვებ-საიტის უნიკალურ ვიზიტორთა რაოდენობა / ჩამოტვირთვების რაოდენობა | 562 ათასი | საბაზისო მონაცემზე 10%-ით მეტი | ვებ-საიტის ანალიზი |
| 2.3.2 | სოციალურ ქსელში „ხელმომწერების“ და „ჩართულების“ რაოდენობა | 15 ათასი | საბაზისო მონაცემზე 20%-ით მეტი | სოციალური ქსელების ანალიზი |
| **რისკები:** | | დაბალი ინტერესი ოფიციალური სტატისტიკის მიმართ;<br>არასაკმარისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები | | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | ოდენობა (ლარი) | კოდი | ოდენობა (ლარი) | ორგანიზაცია | |
| 2.3.1 | საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის SDMX ფორმატის ეროვნულ მონაცემთა გავრცელების ერთიანი გვერდის დანერგვა | 2.3.1.1. SDMX ფორმატის ეროვნულ მონაცემთა გავრცელების გვერდი დანერგილია | ეროვნული ბანკის ვებ-საიტზე: https://nbg.gov.ge/en/page/nsdp | საქართველოს ეროვნული ბანკი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.3.2 | მონაცემთა გავრცელების თემატური პორტალების შექმნა | 2.3.2.1. სულ მცირე 4 ახალი თემატური პორტალია შექმნილია | საქსტატის ვებ-საიტი: https://www.geostat.ge | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.3.3 | გენდერული სტატისტიკის პორტალისთვის დამატებითი გენდერული პროფილის შემუშავება | 2.3.3.1. გენდერული სტატისტიკის პორტალისთვის შემუშავებულია სულ მცირე ერთი დამატებითი გენდერული პროფილი | გენდერული სტატისტიკის პორტალი: http://gender.geostat.ge/gender/index.php?lang=ka | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.3.4 | მუნიციპალური სტატისტიკის არსებული მონაცემების გავრცელების პლატფორმის შემუშავება | 2.3.4.1. შექმნილია მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი | მუნიციპალური სტატისტიკის პორტალი ინტეგრირებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ | საქსტატი | - | 2022 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |
| 2.3.5 | მომხმარებლებისათვის სტატისტიკური მონაცემების ავტომატურად მიწოდების მექანიზმის შექმნა | 2.3.5.1. საქსტატის საიტზე სიახლეების გამომწერთათვის სტატისტიკური ინფორმაციის ავტომატურად მიწოდებისთვის მექანიზმი შექმნილია | 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში | საქსტატი | - | 2023 წ. IV კვ. | ადმინისტრაციული ხარჯი | - | - | - | - | - |

# 2020-2023 წლების ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი # 3: | სტატისტიკური ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების განვითარება | მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: | ქვემიზნები 17.18 და 7.19 (მდგრადი განვითარების მიზანი #17, განხორციელების მექანიზმების გაძლიერება და პარტნიორობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად) პირდაპირ უკავშირდება სტრატეგიულ მიზანს #3 |
|---|---|---|---|

| | | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
|---|---|---|---|---|---|
| გავლენის ინდიკატორი 3.1 | ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის შესაბამისობა ოფიციალური სტატისტიკის მოდელურ კანონთან და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსთან | წელი | 2019 | 2023 | კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ |
| | | მაჩვენებელი | 80-85% იანი შესაბამისობა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ მოდელურ კანონთან (გლობალური შეფასების თანახმად) | სულ მცირე 95%-იანი შესაბამისობა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ მოდელურ კანონთან | |
| გავლენის ინდიკატორი 3.2 | სტატისტიკის სფეროში განათლების, გამოცდილების, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების უნარების მქონე კვალიფიციური თანამშრომლების რაოდენობა | | საბაზისო | სამიზნე | დადასტურების წყარო |
| | | წელი | 2019 | 2023 | სტრატეგიული დაგეგმვის, კოორდინაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი, საქსტატი |
| | | მაჩვენებელი | 55% | სულ მცირე 70% | |

| ამოცანა 3.1 | | საკანონმდებლო ბაზის მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში (დასახული ამოცანა სრულად შესრულებულია) | | |
|---|---|---|---|---|
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | | საბაზისო 2019: | სამიზნე 2023: | დადასტურების წყარო |
| 3.1.1 | გლობალური შეფასების რეკომენდაციების საკანონმდებლო ბაზაში გათვალისწინების დონე | არ არის ხელმისაწვდომი | სტატისტიკის კანონმდებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულია | ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონში ცვლილებები შეტანილია და გამოქვეყნებულია |
| რისკები: | | კანონში შესწორებების მიმართ სხვა უწყებების მხრიდან დაბალი მხარდაჭერა ;<br>ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონში შესწორებების შეტანის გადავადება | | |
| ამოცანა 3.2 | | მდგრადი ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის დანერგვა და მონაცემთა დაცვის სისტემის შემუშავება | | |
| ამოცანის შედეგის ინდიკატორი | | საბაზისო 2019: | სამიზნე 2023: | დადასტურების წყარო |
| 3.2.1 | ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია შემუშავებულია | სტრატეგიის დოკუმენტი არ არსებობს | ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია შემუშავებულია | ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგია |
| 3.2.2 | შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკა მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით | პოლიტიკის დოკუმენტი არ არსებობს | ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია | საქსტატის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკის დოკუმენტი |
| რისკები: | | არასაკმარისი ფინანსური რესურსები მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამშრომლების მოსაზიდად და შესანარჩუნებლად;<br>ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაფასებლად კვალიფიციური კომპანიის ხელმიუწვდომლობა;<br>დაბალი მხარდაჭერა საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან | | |

| N | აქტივობა | აქტივობის შედეგის ინდიკატორი | დადასტურების წყარო | პასუხისმგებელი უწყება | პარტნიორი უწყება | შესრულების ვადა (წელი, კვ.) | ბიუჯეტი (ლარი) | დაფინანსების წყარო | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | სახელმწიფო ბიუჯეტი | | სხვა | | დეფიციტი |
| | | | | | | | | ოდენობა (ლარი) | კოდი | ოდენობა (ლარი) | ორგანიზაცია | |
